



მონიტორინგის ანგარიში № 2

აუდიტის ანგარიშის №	2
თარიღი:	22 ნოემბერი 2019 / 10:30 – 18:00
ორგანიზაციის დასახელება:	Maritime Lloyd
მონიტორინგის ჯგუფი:	დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, მარია პოლიაკოვა, ნინო ასათიანი
აუდიტის მოცულობა:	საზღვაო კოდექსი, ხელშეკრულება

1. შედეგები:

<p>1. ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება – 2019 წლის სექტემბრიდან კომპანია შეუდგა სისტემის შეცვლას, რაც დასტურდება რიგი პროცედურის ცვლილებით. გაერთიანდა რამდენიმე პროცედურა, კერძოდ, დოკუმენტთა მართვის პროცედურა, სადაც შესულია როგორც დოკუმენტების შემუშავების, ასევე დოკუმენტის შენახვის პროცედურა (Storage, Control and Retention of Doc. Information – ML-QSP-008 – 03.09.2019). შემუშავდა და დამტკიცდა Leadership procedure – ML-QSP-014 – 03.09.2019. შეცვლილია პერსონალის სამუშაო აღწერილობები (შიდა აუდიტორის - 03/09/2019 - რევ. N3 / სურვეერი - რევ. 3 – 03/09/2019). ხარისხის სახელმძღვანელო გაუქმდა 2019 წლის სექტემბერში. წარმოდგენილია მიმოწერა სასერტიფიკაციო ორგანიზაციასთან - ISOQAR – 17/09/2019.</p> <p>ფასდება დადებითად</p> <p>2. შიდა აუდიტი - შიდა აუდიტის პროცედურა განახლებულია 03/09/2019 - რევ. 5 – ML-QSP-009. პროცედურის მე-3 პუნქტის თანახმად შიდა აუდიტის პერიოდულობა განსაზღვრულია წელიწადში 2-ჯერ, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით (10/01/2019 და 10/06/2019). შიდა აუდიტი ჩატარებულია უშუალოდ წინა დირექტორის მიერ, რომელიც იმ დროს ასევე ასრულებდა წამყვანი აუდიტორის როლს. დანიშნულია დამოუკიდებელი შიდა აუდიტორი (ლიკა ქათამაძე - პირადი საქმე).</p> <p>ფასდება დადებითად</p>
--